COLLEGE

მარნეულის კოლეჯი

COLLEGE OF MARNEULI

პერსონალის საჭიროებების კვლევის ანგარიში

2020-2021 სასწავლო წელი

კვლევის ანგარიში მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის ხელმძღვანელის, -შორენა ალაგარდაშვილის მიერ.

http://www.mc.edu.ge

სტრუქტურა

1. საკვლევი საკითხი; მეთოდოლოგია
2. კვლევის მიზანი; სამიზნე ჯგუფი
3. თემის აქტუალობა
4. კვლევის შერჩევა
5. კვლევის შეზღუდვა
6. კვლევის მონაცემები
7. რეკომენდაციები

საკვლევი საკითხი

- შპს მარნეულის კოლეჯის პერსონალის საჭიროებები.

კვლევის მიზანი

- კოლეჯის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საჭიროებების დადგენა;
- პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ხელშეწყობა;

კვლევის მეთოდი, ინსტრუმენტი

- შერეული კვლევის მეთოდი (თვისობრივი, რაოდენობრივი)
- რაოდენობრივის ინსტრუმენტი: კითხვარი
- თვისობრივის ინსტრუმენტი: ჩაღრმავებული ინტერვიუ

სამიზნე ჯგუფი

- კოლეჯის პერსონალი - აკადემიური და ადმინისტრაციული

თემის აქტუალობა

- საგანმანათლებო სივრცეში იმისათვის, რომ დაწესებულებამ მიაღწიოს თავის გრძელვადიან თუ მოკლევადიან მიზნებს და შეასრულოს ის ფუნქციები რისთვისაც არის შექმნილი და მოწოდებული, შეიძლება ითქვას ამ საქმეში სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალს, იქნება ეს ადმინისტრაციული თუ აკადემიური.
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაც არ წარმოადგენს გამონაკლისს, ამიტომ შპს მარნეულის კოლეჯი მუდმივად ზრუნავს საკუთარ პერსონალზე და მათ საჭიროებებზე. საჭიროებების დადგენის მიზნით კი აკადემიური წლის მანძილზე ორ ეტაპად ახორციელებს კვლევას.

კვლევის შერჩევა

- კვლევისთვის საჭირო ცდის პირების შერჩევა მოხდა ორი მიმართულებით,
  - ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში შერჩევა მოხდა აბსოლუტური უმრავლესობით გარდა (შერჩევაში არ მონაწილეობდნენ მხოლოდ სამსახურის ხელმძღვანელები - 3 პერსონა),
  - აკადემიური პერსონალიდან შერჩევა განხორციელდა შემთხვევითი პრინციპით, მოდულის განმახორციელებელი 1 აკადემიური პერსონალი მაინც.
- კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 34 პირმა:
  - 21 პროფესიული განათლების მასწავლებელმა;
  - 13 ადმინისტრაციულმა პერსონალმა;

შენიშვნა: კოლეჯში, ზოგიერთი პოზიციზია უკავია ერთიდაიგივე ადამიანს, თუმცაღა კვლევის დროს მათი გამოკითხვა მოხდა სათითაოდ ყველა მათი პოზიციის გათვალისწინებით.

კვლევის შერჩევა

- თვისებრივი კვლევისთვის კი აკადემიური პერსონალის შერჩევა მოხდა
  - პროგრამის ფარგლებში 2-3 მასწავლებლის ოდენობით,
  - ხოლო ადმინისტრაციული პერსონალი ისევ სრული უმრავლესობით.
- კვლევისთვის საჭირო ცდის პირების შერჩევის დროს გათვალისწინებულ იქნა კიდევ ერთი ერთი საკითხი: აკადემიური პერსონალის შერჩევა განხორციელდა იმ პროგრამებიდან, რომლის განხორციელებაც მიმდინარეობდა მოცემულ დროს.

შენიშვნა: კვლევის მეთოდოლოგიით გაწერილი შერჩევის ფორმების და ცდის პირთა ოდენობის კუთხით გარკვეული ცვლილება მოხდა კონკრეტული კვლევის დროს, რაც გამოიწვია საქართველოში და მსოფლიოში შექმნილა ვითარებამ - კორონა ვირუსთან დაკავშირებით.

კვლევის შეზღუდვა

კვლევის შეზღუდვად შეგვიძლია დავასახელოთ, კოლეჯში მსგავსი კვლევების ჩატარების გამოცდილების არ ქონა. რამაც გავლენა მოახდინა როგორც კვლევის განხორციელების პროცესზე, ასევე ცდის პირების მხრიდან კვლევაში მონაწილეობის ხარისხზე.

კვლევის მონაცემები

- პერსონალის მიერ კოლეჯის მისიის, სტრატეგიული გეგმის და მარეგულირებელი დოკუმენტების ცნობადობის მაჩვენებელი.



კვლევის მონაცემები

კვლევის ფარგლებში ცდის პირებს უნდა დაესახელებინათ საქმიანობისთვის საჭირო რესურსები და ასევე, ეპასუხათ კითხვაზე **იყვნენ თუ არა უზრუნველყოფილნი დასახელებული რესურსებით**.

- გამოკითხულთა 100% დაასახელა, რომ ისინი უზრუნველყოფილნი არიან საჭირო რესურსით.
- თვისებრივი კვლევის მონაცემებით, გამოვლინდა რომ ზოგიერთი მოდულის შემთხვევაში არსებული სახელმძღვანელო აღარ იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესში იყოს აქტიურად გამოყენებული და საჭიროებენ განახლებული თემატიკის სახელმძღვანელოს.

კვლევის მონაცემები

კვლევაში მონაწილე პირებს კოლეჯში დაკავებული პოზიციებიდან გამომდინარე უნდა ეპასუხათ კითხვაზე: **საჭიროებენ თუ არა კოლეჯის ადმინისტრაციისგან ხელშეწყობას დაკისრებული სამუშაოს შესრულების პროცესში?**

- 70%-ზე მეტმა განაცხადა რომ საჭიროებენ და დასახელდა მოქნილი, მათზე მორგებული სამუშაო გრაფიკი, რომელიც ხელს შეუწყობდა მაგალითად კოლეგებთან ურთიერთობას, სტუდენტებთან დამატებით შეხვედრებს და ა.შ.

კვლევის მონაცემები

პროფესიულ განათლებაში მიმდინარე სიახლეებისა და ამ სიახლეების მიმართ პერსონალის მზაობასთან დაკავშირებით კითხვები იქნა დასმული თვისებრივი კვლევის ფარგლებში.

- კოლეჯის პერსონალი, პროფესიულ განათლებაში მიმდინარე ცვლილებებთან და სიახლეებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის მიღების/გაცნობის კუთხით დამოკიდებულნი არიან კოლეჯის ადმინისტრაციაზე.
- ასევე, მხოლოდ სამი რესპოდენტი არის აქტიურად ჩართული დარგობრივი სპეციალობის მიმართულებით სიახლეების და მიღწევების შესახებ ინფორმაციის მიღების პროცესში და საჭიროების შემთხვევაში დარგობრივი სპეციალობის მიხედვით არსებულ სიახლეებს პრაქტიკაშიც ნერგავენ:

,,კი, სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორებთან მაქვს შეხება და გვაქვს ინფორმაციის გაცვლის საშუალება, ვუზიარებთ ერთმანეთს ყველა სიახლეს და ვაძლევთ რჩევებს.“

კვლევის მონაცემები

- რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით გამოკითხული ცდის პირები 8-9-10 ქულით აფასებენ საკუთარ პროფესიულ მზადყოფნას პროფესიულ განათლებაში მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებით

- მაგრამ ამავე დროს უმრავლესობა ასახელებს, რომ კოლეჯის პერსონალი საჭიროებს საკვალიფიკაციო კურსის ან ტრენინგის გავლას (იხილეთ დიაგრამა).



კვლევის მონაცემები

- პერსონალის მიერ დასახელებული ტრენინგების და საკვალიფიკაციო კურსების მიმართულებები



კვლევის მონაცემები

- ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს რესპოდენტების ნაწილმა დაასახელა კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გადამზადების საჭიროება, და განსაკუთრებით იმ საგანმანთლებლო ინტერნეტ-პლატფორმების გამოყენებაში, რომელიც აქტიურია მიმდინარე პერიოდში.

- რესპოდენტთა ნაწილმა, რაოდენობრივი კვლევის მონაცემებისგან განსხვავებით დაასახელა, რომ კარგი იქნებოდა და საჭიროდაც კი მიიჩნევენ მასწავლებლების მიერ დარგობრივი და სწავლა/სწავლების მეთოდების მიმართულებით ტრენინგების გავლას.

კვლევის მონაცემები

გამომდინარე იქიდან რომ მასწავლებლის საჭიროებების დადგენა ორმხრივი პროცესია, კოლეჯისთვის უმნიშვნელოვანესია მასწავლებლების მხრიდან ინიციატივების მოსმენა/ მიღება/განხილვა/წახალისება რაც პირდაპირ თუ ირიბად მოახდენს გავლენას სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

- კვლევის მონაცემების მიხედვით კი გამოიკვეთა რომ კვლევაში მონაწილეების 80% ინიციატივების მნიშვნელოვნებას უმაღლესი ქულებით (9-10 ქულა) აფასებს,
- მაგრამ მხოლოდ 44% აქვს გამოცდილება კოლეჯის ადმინისტრაციასთან ინიციატივების წარდგენის და
- მათგან მხოლოდ 15 %-ის ინიციატივა შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ემსახურებოდა პერსონალის განვითარებას,

კვლევის მონაცემები

ქვემოთ მოცემულია მათ მიერ დასახელებული ინიციატივები, რომლითაც მიმართეს კოლეჯის ადმინისტრაციას:

- *„პროფესიული ორიენტაციის მუშაობის გამოცდილების თვალსაზრისით წარმატებული კოლეჯების გამოცდილების გაცნობა“;*
- *„ჯგუფში დარგის სპეციალისტებთან ინსტრუმენტების დანერგვასთან დაკავშირებით“.*
- *„პროფესიული განათლების კოლეჯების წარმატებული პედაგოგების გამოცდილების გაცნობა--- შეხვედრები/ პროფესიული ტრენინგები;“*
- *„მოვითხოვე და დააკმაყოფილეს ჩემი ინიციატივა. კერძოდ, ჩავატარეთ სახანძრო-საგანგაშო მოდელირებული სწავლება კოლეჯის შიდა პერიმეტრზე და კოლეჯის წინ, ღია ადგილზე, მეზობელი ორგანიზაციებისა და ფართო აუდიტორიის თვალთახედვის არეში, რამაც ცოცხალი ინტერესი და სრული ჩართულობა გამოიწვია არა მარტო ჩვენი პედაგოგებისა და სტუდენტების.“*

კვლევის მონაცემები

- კვლევის მონაცემების მიხედვით უმაღლესი ქულებით შეფასდა კოლეგებთან თანამშრომლობის მნიშვნელოვნება გამოკითხულთა მხრიდან, ხოლო 97% დააფიქსირა რომ საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა კოლეგებთან. რაც შეეხება შეხვედრების სიხშირეს გასული აკადემიური წლის მანძილზე იხილეთ დიაგრამა.

კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების სიხშირე



კვლევის მონაცემები

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტებით უზრუნველყოფილი იყო კვლევაში მონაწილე პირების მიერ მათთვის საინტერესო ან მნიშვნელოვანი საკითხი დაეფიქსირებინათ, რაც აუცილებლად მიაჩნდათ კოლეჯის ფუნქციონირებისათვის, ძირითადად დასახელდა:

- კორპორატიული ნომრები, თანამშრომლებს შორის საკომუნიკაციოდ;
- პერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევა (შენიშვნა: განეკუთვნება სოციალურ საკითხს, თუმცაღა შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც პერსონალის სამუშაო მოტივაციის გაზრდისთვის გარე მოტივატორი, სამუშაო ანაზღაურებასთან ერთად)

კვლევის მონაცემები

- თვისებრივი კვლევის ფარგლებში ხარისხის სამსახურის მხრიდან დასმული იქნა კითხვა, რომელიც იძლევა საშუალებას, ერთის მხრივ კოლეჯის როგორც ორგანიზაციის შიგნით არსებული კულტურის შეფასების და მეორეს მხრივ, პერსონალი, როგორ ხედავს საკუთარ თავს ორგანიზაციაში.

  კითხვა იყო დასმული შემდეგი სახით:

- მიღებული პასუხებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ პერსონალს თავი აქვს აღქმული როგორც კოლეჯის მნიშვნელოვანი და სრულუფლებიანი წევრი.

„რას ნიშნავს თქვენთვის, როგორც კოლეჯის თანამშრომლისთვის სიტყვა - **ჩვენ?** “

- რესპოდენტებს ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს უნდა დაესახელებინათ ის პრობლემა თუ ხარვეზი რასაც ყოველდღიურ საქმიანობაში ეჯახებიან.

რესპოდენტების მხრიდან დაფიქსირდა, რომ ნაწილი სტუდენტების მიერ ქართული ენის არასაფუძვლიანი ცოდნა დამატებით ძალისხმევას საჭიროებს მასწავლებლის მხრიდან და ქმნის დროის კუთხით პრობლემას. მათ ასევე აღნიშნეს, რომ კოლეჯში არსებობს უფასო ქართული ენის კურსები რაც გარკვეულწილად აგვარებს პრობლემას.

რეკომენდაციები

- დაიგეგმოს სამუშაო შეხვედრები ადმინისტრაციის მხრიდან, სამი მიმართულებით: საშუალო რგოლის მენეჯერებისთვის, პროგრამის ხელმძღვანელებისთვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის - რომლის დროსაც კიდევ ერთხელ დეტალურად იქნება მიწოდებული კოლეჯის მთავარი დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია და თითოეული პოზიციის შესაბამისი უფლებები-მოვალეობები.
- დაიგეგმოს ტრენინგები და სასწავლო/პრაქტიკული სამუშაოები შემდეგი მიმართულებით:

  ა. მოდულური სწავლება

  ბ. სწავლა/სწავლების მეთოდები

  გ. კალენდარული გეგმები შექმნა.

  დ. სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, გამოყენება, შენახვა.

  ე. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება.

რეკომენდაციები

- კოლეჯში არსებული უფასო ქართული ენის კურსის შეფასება.
- დეტალურად ეცნობოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წარდგენის ფორმები და წახალისების კრიტერიუმები;
- პერსონალს შორის ეფექტური კომუნიკაციისთვის კორპორატიული ნომრების შემოტანის განხილვა